



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 159

2016 წლის 05 აგვისტო

ქ. თბილისი

ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის  
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2016 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 აპრილის N78 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ფუნდამენტური კვლევებისთვის 2016 წლის საგრანტო კონკურსის ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის წევრების (N941773, 2016 წლის 05 აგვისტო) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6)

მარინე ჩიტაშვილი